სამშობლო, დედის შუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ქედანი

1993
ხუთშაბათი
29
აპრილი
№17 (10608)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დედოფალი დედოფალთა...“

„აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუითმფლობელი“—ესე იწოდებოდა სრულიად საქართველოს მეფე თამარი, რომელმაც თავისი ზეობის პერიოდში, აქტიური საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარებით, ქმედითი სახელმწიფოებრივი ღონისძიებით განაგრძო ის მაგისტრალური გზა ქვეყნის განვითარება -აღმავლობისა, რომელსაც ასე წარმატებით ჩაუყარა საფუძველი და რეალური საქმიანობით განვითარების მწვერვალზე აიყვანა დავით აღმაშენებელმა.

მეფე თამარი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით პროგრესის შემოქმედი და მისი მატარებელი იყო. იგი მიუხედავად სიმტკიცე -თვითმპყრობელობისა, ლმობიერი და მშვიდობიანი მმართველი იყო. სწორედ თამარის დროს ხდება სამართლის აშკარა ჰუმანიზაცია, მწვერვალს აღწევს ქველმოქმედება — „გლახაკთმოღვაწეობა“. ღვთისმოსავი მეფე აღწევს საეკლესიო სფეროს სრულ მოწესრიგებას. მეფე თამარი, მიუხედავად ფეოდალთა არაერთი წინააღმდეგობისა, ახერხებდა მათზე სა მეფო ხელისუფლების რეალური უპირატესობის შენარჩუნებას. თამარის მოღვაწეობა პროგრესული იყო იმითაც, რომ იგი მთლიანად ემსახურებოდა სახელმწიფოს სიძლიერისა და მისი ხელისუფლების ცენტრალიზაციის საქმეს.

ისტორია იქმნება სწორედ იმ პირთა მოქმედებისაგან, რომლებიც ჰუმარიტი მოღვაწეები არიან. მეფე თამარი მსოფლიო ჰუმარიტ მოღვაწეთა შორისაა. ამდენად, იგი იმ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც რეალურად ჰქმნიდნენ ისტორიას. მეფე თამარის მოღვაწეობამ საქართველოს უდიდესი წარმატებები მოუტანა. და იგი მტკიცედ დაამკვიდრა წინა აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს ქვეყანათა რიცხვში.

ქართველმა ხალხმა, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავისი სათაყვანებელი მეფე-ქალი წმინდანად შერაცხა და სამების მეოთხე წევრად აღიარა. მოსახსენებელი დღე კი სიცოცხლისა და გაფურჩქვნა-აყვავების თვისმაისის პირველ დღეს დაუკავშირა. 1 (14) მაისი საეკლესიო კალენდარში დამკვიდრდა, ვითარცა მოსახსენებელი დღე წმიდისა კეთილმორწმუნისა დიდისა მეფისა ქართველთა თამარისა.

სამარადისოდ შეინახა ქართველმა ხალხმა დიდი მამულიშვილისა და საქართველოსთვის დამაშვრალი მეფე-ქალის ხსოვნა. მისი სახება დღესაც ამხნევებს და წინსვლისაკენ მოუწოდებს ქართველ ხალხს, საქართველოს ეროვნულ მოძრაობას. სრულიად საქართველოს შესწევს თავისი სათაყვანო წინაპრის ღრმა სიყვარულის ძალა. მეფე თამარი მტკიცედ დამკვიდრდა შთამომავლობის შემეცნებაში, ვითარცა „დედოფალი დედოფალთა, მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა... მესიის თაყვანისმცემელი“.

ნაწყვეტი რონ მეტრეველის წიგნიდან „მეფე თამარი“.

რეზონანსი

ლმერთმა ინაგოს

როგორც საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, რუსეთში 25 აპრილს ჩატარებული რეფერენდუმის მიმართ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა აქტიური დამოკიდებულება გამოავლინეს. მათმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ბორის ელცინს, მის მიერ აღებულ რეფორმისტულ კურსს.

მხოლოდ მიამიტს შეუძლია იწამოს, რომ ამ მხარდაჭერით ელცინი და მისი თანამოაზრენი საბოლოოდ გადაწყვეტენ რუსეთში პოლიტიკური ძალების ურთიერთდაპირისპირების უმტკივნეულეს პრობლემას. მაგრამ ის კი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გამარჯვებული პრეზიდენტი გარკვეულწილად გაანელებს კონფრონტაციის ცეცხლს და უფრო გაბედულად წარმართავს დემოკრატიული რეფორმების პროცესს.

ღმერთმა ქნას, რომ წინააღმდეგობათა ტალღებზე მოტორტმანე რუსეთი დაადგეს ჰუმარიტი პროგრესის გზას, ვინაიდან ამაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საქართველოს, კავკასიის მომავალი. და არა მარტო ამ რეგიონისა, არამედ მთელი ცივილიზებული მსოფლიოსი.

ემველება კი?

შფოთიანი ქამი უდგას რუსეთის ფედერაციას. მას საოცრად რთული, შინაგანი პოლიტიკური წინააღმდეგობები აცლის ძალას. პრეზიდენტს ბ. ელცინსა და უზენაეს საბჭოს შორის არსებულმა უთანხმოებამ თავის პიკს მიაღწია. მართალია 25 აპრილის რეფერენდუმზე ელცინმა მხარდამჭერთა მაქსიმალური რაოდენობა მოიპოვა. მაგრამ არც რ. ხასბულატოვი და მისი გუნდია გულხელდაკრეფილი.

ღმერთმა ქნას პროგრესულმა ძალებმა გაიმარჯვონ მეზობელ რუსეთში.

თ. ვეკუა.

თვითნებობა ანარქიის წინაპირობაა

დადგენილება — სახელმწიფო საწარმოთა საზოგადოებრივი მიწის პრივატიზაციის შესახებ ფრიად საჭირო გადაწყვეტილებაა და ჩვენც მთლიანად ვუჭერთ მხარს, მაგრამ ამავე დოკუმენტში გარკვეითაა მითითებული ის საწარმოები და ობიექტები, რომელთაც პრივატიზაცია არ ეხებათ. მათ შორისაა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და მის სისტემაში შემავალი სამეცნიერო დაწესებულებები და მათი ექსპერიმენტალური ბაზები. რესპუბლიკის მიწის რესურსების და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაშვებული ბრძანებით რაიონებისა და ქალაქების ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს ევალებათ არ დაუშვან სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებზე უვადო სარგებლობისათვის მომაგრებული მიწებიდან მიწის რეფორმის ფონდში იმ ფართობების გამოყოფა, რომლებიც ემსახურება ამ ორგანიზაციათა ძირითად საწარმოო პროგრამის შესრულებას. ასეთი ფართობების გამოყოფის ყოველი ფაქტი უნდა შეუთანხმდეს მიწათმოსარგებლეებს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას და რესპუბლიკის შესაბამის უწყებას. აღნიშნული კატეგორიის მიწამოსარგებლეს ეკუთვნის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალიც, რომელიც დაარსებიდან 64-ე წელს ითვლის.

ჩვენს ფილიალს კვლევითი სამუშაობის ჩასატარებლად განსხვავებულ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში გამოყოფილი აქვს ორი ექსპერიმენტალური ბაზა: ცენტრალური ქ. ზუგდიდში ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე და დარჩელის უბანში — თიქორის ექსპერიმენტალური ბაზა. ამ ბაზაზე დაყენებული ძველი ცდების დიდი ნაწილი იმდენად პრობლემატურია, რომ დღემდე გრძელდება. ამასთან, ახალი კულტურების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგიის შესასწავლად და დასანერგავად პარალელურად, სა ფუძველი ეყრება ახალ ცდებს.

გარდა სამეცნიერო მუშაობისა, ჩვენი ფილიალი თავისი მდიდარი მცენარეული კოლექციით მყარი ბაზა არის აგრარული ფაკულტეტის ასპირანტებისა და სტუდენტებისათვის, როგორც საქართველოს ინსტიტუტების, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის. ამუამად კი აღნიშნული ბაზები ძირითადი დასაყრდენი ობიექტი უნდა გახდეს ქალაქ ზუგდიდში ახლად დაარსებული უნივერსიტეტისათვის სამეცნიერო-სასწავლო სამუშაოების ჩასატარებლად.

ინარგებლეს რა უკანასკნელ პერიოდში როგორც რესპუბლიკაში, ასევე რაიონში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობით, რიგმა ვაი პატრიოტებმა, რომელთა სიაში საუბედუროდ ჩვენი თანამშრომლებიცაა, გატეხეს და გაძარცვეს ადმინისტრაციული კორპუსი, ლაბორატორიები, დაიტაცეს მატერიალური ფასეულობანი, გაარღვიეს მაგისტრალური ღობეები და მიიტაცეს ფართობები. ზოგიერთმა მათგანმა კი აჩეხა მრავალწლიანი ნარგაობა, თვითნებურად შემოაკავა იგი შემდგომში სამოსახლოდ გამოყენების მიზნით. ასე მაგალითად ცენტრალურ განყოფილებაში ცაბაძის ქუჩაზე მცხოვრებლებმა: ა. ხურცილავამ, ბ. ჯაბუამ, ე. ჩილაჩავამ, ხ. დემეტრაშვილმა, (ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), სულ 47-მა პიროვნებამ, ამ უბანში, აჩეხეს სხვადასხვა ხნოვანების ჩაის ფართობები და სათესლე ჩაის ნარგავები, რომელთა უმეტესობაზე დაყენებული იყო ცდები და მიიზომეს იგი. ზოგმა მათგანმა უკვე მოასწრო დამხმარე ნაგებობების აგება. ამუამად ზოგიერთ მიტაცებულ ფართობებს ერთმანეთს ეცილებიან მეზობლები.

ძნელაძის ქუჩაზე, სადაც საძირკველი ამოყვანილია ფილიალის მუშა - მოსამსახურეებისათვის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (მშენებლობა დროებით შეჩერებულია), სამშენებლო მასალები შემოზიდა და უნებართვოდ ნაკვეთი შემოაკავა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად იქვე მცხოვრებმა ლ. მაქაცარიამ.

ჯერ კიდევ გასულ წელს გაარღვიეს ღობე და 130 ჰექტარი ახლად რეორგანიზებული სარწყავი ფართობი თიქორის ექსპერიმენტალურ ბაზაზე საძოვრად აქციეს. აქვე, პირუტყვმა გაანადგურა 10 ჰექტარზე გაშენებული სამწლიანი ჩაის პლანტაცია. ამავე სოფლის მცხოვრებლებმა კოლექტიურად დაარბიეს და გაზიდეს ამ ობიექტებიდან 2 ჰექტარზე დამონტაჟებული ჩაის ნერგის გამოსაყვანი ნისლწარმომქმნელი კამერები თავისი აღჭურვილობით, რომლის საბალანსო ღირებულება 21 მილიონი მანეთია. აქვე მოჭრილია 500-ზე მეტი ძირი 30 წლიანი მარადმწვანე ხეები. იჩეხება 40 ჰექტარი ტყის მასივი, რომელიც ნაკრძალადაა გამოცხადებული და შემოკავებულია კაპიტალური ღობით. იქვე მცხოვრებმა ბიგვავას ოჯახმა დაანგრია შხამ-ქიმიკატების საწყობი. დაანგრიეს ავტოფარეხი, ჩაის ფარდულები და სხვა დამხმარე ნაგებობანი. დამნაშავეებმა, როცა ფაქტზე შეეხსწარით, გვიპასუხეს: ხომ უნდა დაინგრეს, ყოველივე საზოგადოებრივიო... (კომენტარი მკითხველებისთვის მიგვინდვია).

ქონების ხელყოფის ფაქტზე მასალები დროულად გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ შედეგებმა დაიგვიანა. მათი ბოლოდროინდელი გააქტიურება, ვფიქრობთ, ბოლოს მოუღებს მსგავს უკანონო ქმედებებს და დამნაშავეები დაისჯებიან.

მაგრამ ბატონებო, საქმე მარტო ადმინისტრაციულ სასჯელში როდია. უნდა შევიგნოთ ყველამ, რომ ნგრევას არავისთვის არასოდეს მოუტანია სიკეთე. შეჩერდით, ნუ დავანგრევთ ყველაფერს რომლის შენებაში ჩვენს წინაპრებს დიდძალი შრომა გაუწევიათ. ერთხელ კიდევ დავფიქრდეთ, რას ვუტოვებთ მომავალ თაობას.

გ. თოდუა,
სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის დირექტორი.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲔᲡ ᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲚᲝᲒᲘᲙᲐᲐ?

ამ ბოლო ხანებში საქართველოს ტელევიზიამ ჩვეული გაგულისებით გააჩაღა პროპაგანდისტული კამპანია მიტინგებისა და მანიფესტაციების წინააღმდეგ. გამოყავთ ტელემაყურებლები და აკეთებინებენ ისეთ განცხადებებს, თითქოს სახალხო თავყრილობებს ქუჩებსა და მოედნებზე უბედურების გარდა არაფერი სასიკეთო არ მოჰქონდეს. მათი ლოგიკით, ვინც დღეს ფაქტობრივ ხელისუფლებას მხარს არ უჭერს, ან უპირისპირდება, დესტრუქციული ძალაა და თავის ხალხს მტრობს.

აი, როგორ ესმით საქართველოს ტელევიზიის მესვეურებს დემოკრატიისათვის ბრძოლა. თურმე ოფიციოზისაგან განსხვავებულ პოზიციაზე დგომა დანაშაულს ედრება. და ამიტომაც შეიძლება ასეთ ხალხს ხელკეტებითაც დაერიო.

არა მგონია, ამდაგვარი ტაქტიკით ჩვენი საშინაო პრობლემების გადაწყვეტის გასაღებს მივაგნოთ. ვიფიქროთ ამაზეც, ბატონებო. ვიფიქროთ, სანამ კიდევ არ არის გვიანი.

ა. გაგუნია.

თვალსაზრისი

თავისუფლების ფუნდამენტი

„საზოგადოება, რომელიც პირველ ადგილზე აყენებს თანასწორობას, ესმის რა ის როგორც შემოსავლის გათანაბრება, ამთავრებს იმით, რომ მასში არ არის თანასწორობა და არც თავისუფლება“. კლასიკური ლიბერალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ნობელის პრემიის ლაურეატის მილტონ ფრიდმანის ეს სიტყვები ყველაზე ნათლად ახასიათებს სოციალისტური ეკონომიკის ბუნებას. სახელმწიფოს მიერ მატერიალურ რესურსებზე, წარმოებაზე და საერთოდ, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე კონტროლის დაწესებამ, საბოლოოდ ცალკეული ინდივიდის (ადამიანის) ცხოვრებაც კონტროლის ქვეშ მოიქცია. სოციალიზმის პირობებში ადამიანი შეზღუდულია პროფესიის, საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოს შერჩევაში. დარღვეულია მოთხოვნა-მიწოდების ნორმალური სისტემა და ყველაფერი უზარმაზარი გოლიათის ხახაში ჩადის. იმპერიის დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეკონომიკის „ზემოდან“, ცენტრიდან გეგმიური მართვა გახლდათ. დამოუკიდებელი საქართველო განვითარების ეკონომიკური გზების ძიებაშია. ჩვენში არსებული ინფრასტრუქტურა, დარგები, ეკონომიკური სუბიექტები რეორგანიზაციის პროცესში იმყოფება. 70 წლის მანძილზე ეკონომიკურად, პოლიტიკურად შებოჭილი საქართველოს წინაშე ალტერნატივა არ არსებობს —ქვეყანა უნდა დაადგეს ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის სრული ლიბერალიზაციისა და კერძო მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის გზას. სახელმწიფო სფეროს პრივატიზაციით შესაძლებელი გახდება კერძო მესაკუთრეთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბება. ერთდროულად თავისუფალი სასაქონლო, სავალუტო ბაზრების შექმნა ხელს შეუწყობს საერთო ეკონომიკური ატმოსფეროს გაჯანსაღებას. საქონლის, ბაზრის, წარმოების დივერსიფიკაცია (წარმოებული საქონლის ნომენკლატურის გაზრდა) შეამზადებს ნიადაგს საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან კაპიტალის მოზიდვისათვის. ქვეყანა განიცდის სტრატეგიული ენერგომატარებლების სიმცირეს, თუმცა ძირითადად გეიზერების მქონე ისლანდიაშიც მოხერხდა ინვენსტიციების ჩადება. ამ მხრივ საბანკო ტარიფების შემცირება და სხვა ეკონომიკური მექანიზმების ამოქმედება კიდევ უფრო დაჩქარებს უცხოური კაპიტალის საქართველოში შემოსვლას. სამხრეთ კორეა, პოლონეთი მნიშვნელოვანწილად სწორი საინვესტიციო პოლიტიკის წყალობით ახერხებს განვითარების ტემპების შენარჩუნებას. სახელმწიფოს მიერ წარმოებულმა საგადასახადო პოლიტიკამ ამ სექტორის წარმომადგენლებს წარმოების გაფართოების კენ უნდა უბიძგოს. ეს თავის მხრივ გაზრდის კერძო სექტორის წვლილს საერთო ეროვნულ პროდუქტში. ყველა ორგანიზაციას (საწარმო) ფეხსაცმლის სამკერვალოთი დაწყებული და მსხვილი საწარმოებით დამთავრებული, პატრონი უნდა გამოუჩნდეს. სახელმწიფოს მხრიდან ზოგიერთი ეკონომიკური სუბიექტებისადმი პრივილეგირებული დამოკიდებულება შესაცვლელია მკაცრი კონკრეტული გარემოს შექმნით. სახელმწიფო ორგანოების როლი ძირითადად ნორმატიული აქტების გამოცემით და უმუშევრობის პრობლემების გადაწყვეტით შემოიფარგლოს. ძველისგან შემორჩენილ სოციალური დაცვის მექანიზმს მოსახლეობა ნეგატიურად უყურებს. ახლის შესაქმნელად შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლონეთში, ჩილეში განხორციელებული (შემუშავებული) სოციალური დაცვის სისტემა. მოსახლეობა კანონით ვალდებულია საკუთარ ანაბრებზე არსებული თანხის გარკვეული პროცენტი მუდმივად გადარიცხოს საპენსიო ფონდში გახსნილ ინდივიდუალურ ანგარიშზე. ლიბერალურმა კაპიტალიზმმა მე-20 საუკუნის ბოლოსთვის მსოფლიოში საბოლოოდ დაამარცხა სოციალისტური იდეოლოგია, თუმცა საქართველოში მოსახლეობის ნაწილს ჯერჯერობით სწამს მარქსის. არადა ბოლო ორიათასი წლის მანძილზე კაცობრიობას მრავალი სოციალ - პოლიტიკური მოძღვრება მოევლინა. თანამედროვეობას კი მხოლოდ ის მოძღვრებები შემორჩა, რომლებიც მხარს უჭერენ კერძო საკუთრებას და ოჯახს. თვით რუსეთში, სადაც სოციალისტური იდეალები ყოველთვის ჰპოვებდა მხარდაჭერას, მოხდა პარადოქსალური შემთხვევა: ქვეყნის შემადგენლობაში შემავალი დიდი რესპუბლიკის კალმიკიის პრეზიდენტად მოსახლეობამ აირჩია 80 წლის მულტიმილიონერი ილუმჟინ კირსანოვი. საქართველოს მოსახლეობისთვისაც აუცილებელია ასეთი რეფორმისტული სულისკვეთება, რათა ქვეყანა ქაოსიდან გამოვიდეს.

ქართველობა თანდათან ხვდება იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ადამიანის ყველა უფლებისა და თავისუფლების ფუნდამენტს წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლება. ეკონომიკური თავისუფლების გარეშე პოლიტიკურ თავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია და რომ მისი არქონით ისპობა საზოგადოებრივი ორგანიზმიც.

გელა კვაშილავა,
თსუ საინჟინრო-ეკონომიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი.

კოლეგები

უანგაროდ იღვწის

წალენჯიხის მკვიდრი მამანტი ძაძამია ერთი იმ უპრეტენზიო მამულიშვილთაგანია, რომლებიც გულწრფელად იღვწიან ქართული კულტურის სარბიელზე. წლების მანძილზე ნაყოფიერად უშრომია სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც. თუმცა, ბოლო პერიოდის მისი ნაშრომ-ნაფიქრალი გვარწმუნებს, რომ მისი მთავარი მოწოდება მაინც ქართული ენა და ლიტერატურაა იგი წარმატებით ცდის კალამს პუბლიცისტიკაშიც. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც გაზეთ „წალენჯიხის ზარების“ მეორე ნომერში გამოქვეყნებული მისი სტატია სახელწოდებით — „ვისთან ვდგავართ“. ავტორი ობიექტურად აანალიზებს აფხაზეთის სამარ კონფლიქტთან სამეგრელოს მიმართების როგორც სამხედრო, ისე ზნეობრივ ასპექტებს. ეს წერილიც იმის ცდაა, უმეცრებისაგან თვალთახედვის ისარდამოკლებულ თანამემამულეებს სწორად გააცნობიერებინოს აფხაზეთში პროვიცირებული ძმათამკვლელი ომის ნამდვილი არსი, საქართველოს მტრების შორსგამიზნული მზაკვრული მიზნები.

„სამეგრელო, იდგა და დგას სრულიად საქართველოსთან, ის ვერ განუდგება თავის თავს და სრულიად საქართველოს, ვინაიდან ისინი ცალ-ცალკე არ არსებულან და არ არსებობენ. ნუ შეეცდება საქართველოს მტერი შეუძლებლის მიღწევას“.—ამ სიტყვებით ამთავრებს ავტორი სტატიას და ამაში შესანიშნავად იკითხება მისი ეროვნული პოზიცია.

მ. ძაძამიას ქართველი მკითხველი იცნობს აგრეთვე როგორც საკუთარი ხელწერის მქონე მკვლევარს. ამ ორიოდე წლის წინათ გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა მისი ორნაწილიანი წიგნი „მეგრული დიალექტი“, რომელშიაც ავტორი ცოცხალი მეგრული მეტყველების მდიდარ ლექსიკურ ფონდს და მათ მეცნიერულ გაანალიზებას გვთავაზობს.

მისაღები და სარწმუნოა ავტორის მსჯელობა იმის შესახებ, რომ „...მეგრული მეტყველება ეპითეტური ანუ ხატოვანი ზმნების გასაოცარი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც ამ დიალექტის ფრიად საინტერესო თავისებურებას წარმოადგენს“.

ამ ნაშრომით ერთხელ კიდევ ესმება ხაზი მეგრული დიალექტის ძირძველობას და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის უშრეტ წყაროდ მისი მიჩნევის აუცილებლობას. მართლაც რომ ამოურწყველი ოკეანეა მეგრულ-ჭანური ენის მეგრული დიალექტი, ერთი უმდიდრესი სალარო ჩვენი საერთო ქართული ენისა.

ძნელია არ დაეთანხმო პროფესორ ნ. ლემონჯავას შეფასებას ავტორის ამ წიგნის თაობაზე: „ეს შრომა ენის ფენომენის უანგარო სიყვარულის, მშობელი ქვეყნის, მისი ერის მიმართ თავდადებისა და პატივისცემის გრძნობით არის გამსჭვალული. მისი გულდასმით წაკითხვა-გაცნობიერება ყოველი ქართველისათვის სასურველიცაა და სასარგებლოც“.

სასიამოვნოა, რომ ჩვენი წალენჯიხელი მეგობარი, უამრავ მძიმე დღეთა გადამტანი, დღესაც უშიშრად დგას ჭეშმარიტი ეროვნული ძალების გვერდით და უშურველად იღვწის თავისი საფიცარი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ა. ალანია.

ᲕᲔᲚᲘᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲘᲡᲣᲡᲢᲔ

ახლა ხშირად მოკრავ ყურს კამათს იმის თაობაზე, თუ საიდან იღებს სათავეს საზოგადოების ორ ბანაკად გაყოფის ავბედითი პროცესი. ხშირად პოლიტიკური ოპონენტები კონსტრუქციული დავა - პაექრობის მაგიერ ერთმანეთის ლანძღვა-გინებით არიან გატაცებულნი. დასანანია, რომ ამ მხრივ პირველობის პალმას არ თმობენ ფაქტობრივი ხელისუფლების იდეოლოგიური ადეპტები.

ამდაგვარი დაპირისპირებისას კეთდება ასეთი აქცენტიც: მოკამათეთა ერთი ნაწილი დაჟინებით ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ წინააღმდეგობის საფუძველი მსოფლმხედველობით ხასიათისაა და მისი დაძლევა სწორედ ამ სიბრტყეზე უნდა მოხერხდეს. მაგრამ ფაქტობრივი ვითარება სულ სხვა ტენდენციაზეც მიგვანიშნებს.

თავის დროზე ბატონ ზვიად გამსახურდიას ჩვეული ლიტერატურული კორექტულობით, მაგრამ პრინციპული ტონით გაჩოუხატავს თავისი კრიტიკული დამოკიდებულება ცნობილი მწერლების შემოქმედების ცალკეულ მხარეებისადმი. და აი, ნაცვლად იმისა, რომ ოპონენტისთვის რაინდულად, პროფესიულ დონეზე გაეცათ პასუხი, გაკრიტიკებულები შურით აღივსნენ და უკადრებელი ზეთოდებით იწყეს სამაგიეროს მიზღვა.

სამწუხაროა ეს მომენტი, მაგრამ რას გავხდებით. პიროვნება როცა პირადი წყენის დაძლევას ვერ ახერხებს და შურისძიების ავი იმპულსების ტყვეობაში ექცევა, მისი გადარწმუნება ძნელია. ასეთ დროს მხოლოდ საკუთარი თვითაღიარების, თვითგანსჯის ფაქტორს ძალუძს საბოლოო სიტყვის თქმა. და რა თქმა უნდა, ღვთის შეწევნითა და მადლით.

ღმერთმა ნებისმიერ ძეშეცდომილს, რომელ მხარეზეც არ ჯრდა იყოს იგი, შეაძლებინოს საკუთარი სისუსტეების, ქვენა-გრძნობების დათრგუნვა და სულიერი აღაღლება.

თ. ნემსაძე.

ᲒᲐᲜᲒᲔᲒᲐᲛ ᲘᲜᲔᲑᲝᲡ

საოცრად თვითმყოფადი ფენომენია ოდიშელი კაცი, როგორც ეთნოტიპი. იგი მუდამ ესწრაფვოდა საქართველოს სხვა კუთხის შვილებთან სულიერ ახლობლობას. იგი არამარტო მსურველი, ორგანიზატორიც იყო ხოლმე ეროვნული ერთიანობისა.

განგებამ ინებოს ამჯერადაც დაგვეძლიოს დღევანდელ ქართველებს ურთიერთუნდობლობის სინდრომი. დიდი ეროვნული თანხმობით, კონსოლიდაციით დაგვეწყოს ჭეშმარიტი, ერთიანი საქართველოს შენება.

ბ. ნაუოფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისი

ტერმინების შერჩევასაც ჭკუა უნდა

ზოგიერთი ფსევდოპოლიტიკოსის მტკიცებით, ჩეჩნეთის რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველ-აფხაზთა საომარი კონფლიქტის გაღვივებაში. ყველას გვახსოვს ის გულმოდგინება, რითაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი საქართველოს ტელევიზიამ. ისე დღე არ გავიდოდა, რომ ლანძღვა-გინებით არ აეკლოთ ეს თავისუფლებისმოყვარე მთიელი ხალხი, არ ეწოდებინათ მათთვის ნაძირალები, გადამთიელები და ა. შ. არავინ არ ჩქმალავს იმ რეალობას, რომ ათეულობით დაქირავებული, მოხალისე ჩეჩენიც მონაწილეობდა აფხაზურ კონფლიქტში, მაგრამ ეს არამცდაარამც არ ნიშნავს მთელი ხალხის პოზიციას აღნიშნული პრობლემისადმი.

რომ მიკარნახა ჩემი მოსაზრება გამომეთქვა ყბადაღებული გროზნოს თეძასთან დაკავშირებით. ამასწინანდელმა სპეციალურმა ტელეგადაცემამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დელეგაციის გროზნოში სტუმრობის თაობაზე: არ ვიცით, რამდენად გულწრფელნი იყვნენ ჩვენი წარგზავნილები მათ მიერ გაკეთებულ შეფასებებში, ეს მათ სინდისზე იყოს. მაგრამ შეხვედრები, საუბრები ჩეჩნეთის პოლიტიკურ წრეებთან, თვით პრეზიდენტ დუდაევთან კონსტრუქციულ ხასიათს ატარებდა. უმთავრეს „აღმოჩენად" მაინც ის უნდა მივიჩნიოთ, რომ ბატონი გიორგი კობახიძე ამჯერად კი არ ლანძღავდა ჩეჩენ ხალხს აფხაზური პრობლემისადმი მიმართებაში, არამედ ქართველებთან მათი ისტორიული კეთილმეზობლური ურთიერთობის ტრადიციების გაღვივების საჭიროებაზე მიანიშნებდა. ითქვა კავკასიის ერთიანობის პრობლემაზე, როგორც ჩვენი ხალხების შემდგომი კეთილდღეობის გარანტზე. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა სტუმრებთან საუბარში. მან ხაზი გაუსვა იმ როლს, რაც საქართველომ უნდა შეასრულოს კავკასიის საერთო სახლის ფორმირების საქმეში.

ასეა. გადის დრო. დგება ჟამი ადამიანთა აზროვნებაში, შეხედულებებში გარკვეული სასიკეთო მეტამორფოზისა. სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას. განა ვინმესთვის საეჭვო უნდა იყოს კავკასიური მოდგმის ხალხების კონსოლიდაციის პერსპექტიულობა?

არავინ არ უნდა გაიხადოს სადაოდ ის გარემოება, რომ სწორედ იბერიულ-კავკასიური მოძრაობა დაიცავს ქართველი და იბერიულ-კავკასიური ეროდგმის სხვა ხალხთა უფლებებს, ინტერესებს, თავისუფლებებს კავკასიაში. ამხელს და ბრძოლის მშვიდობიანი ფორმით წინ აღუდგება რუსეთისა და მსოფლიო იმპერიალიზმის ანტიკავკასიურ მზაკვრულ პოლიტიკას, რომელიც განადგურებით ემუქრება იბერიელ-კავკასიელ ხალხთა გენოფონდს, მათ სახელმწიფოებრიობას, შლის ეროვნულ ცნობიერებას, ურთიერთუპირისპირებს იბერიულ-კავკასიური მოდგმის ხალხებს, არღვევს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებს, ამცირებს კავკასიურ ღირსებას.

აი, რამდენი უბედურების მომტანი საერთო მტერი გვყავს კავკასიელ ხალხებს, ბატონებო. ამიტომ, მოდით ნუ ავჩქარდებით ცალკეული ტერმინების შერჩევაში, პოლიტიკური შეფასებების გაკეთებაში. ყველაზე საიმედო მოკავშირე ასეთ დროს ხომ წინდახედულობაა.

ბ. გაბუნია.

სპეციალისტი გვაფრთხილებს

ვებრძოლოთ ამერიკულ თეთრ პეპელას

ამერიკული თეთრი პეპელა ფრიად საშიში საკარანტინო მავნებელია, აზიანებს ორასზე მეტი სახის მერქნოვან, ბალახოვან და ბუჩქნარ მცენარეებს, განსაკუთრებით ძლიერ ზიანდება თუთა, ამერიკული ნეკერჩხალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, კომში, ბალი, კაკალი, ტირიფი, იფანი, თხილი, აზიანებს აგრეთვე ვაზს, ბოსტნეულ და ბაღჩეულ კულტურებს.

პეპელა თეთრია, ზოგჯერ გაჩნია შავი ან მუქი ყავისფერი ლაქები, პეპელა გაშლილი ფრთებით 25-35 მმ-ია. იგი საღამოობით და ღამე ფრენს.

პეპელა კვერცხებს დებს ძირითადად პერიფერიულ ტოტებზე, ფოთლის ქვედა მხარეს ჯგუფურად და აფარებს თეთრი ფერის ბეწვებს. ჯგუფში ჩვეულებრივ 400-600 კვერცხია. კვერცხი სფეროსებურია, მომწვანო-მოყვითალოა.

მატლი განვითარების მანძილზე 6-7 ასაკს გადის.

ზრდასრული მატლი დაცულ და მშრალ ადგილზე ქსოვს ნაცრისფერ პარკს, სადაც იჭუპრებს.

ამერიკული თეთრი პეპელა ზამთრობს ჭუპრის ფაზაში. გამსკდარი ქერქის ქვეშ, შენობების სახურავებში, ღობეებზე, ხმელ ფოთლებში. გვხვდება ნიადაგშიც. იგი ჩვეულებრივ ორ თაობას ანვითარებს, თუმცა ჩვენში გამორიცხული არ არის არასრული მესამე თაობის განვითარება.

პირველი თაობის პეპლების ფრენა მეტად გაჭიანურებულია და იწყება აპრილის ბოლო დეკადასა და მაისში, ხოლო მეორე —ივლისის ბოლოს, აგვისტოში. კვერცხის განვითარების ხანგრძლივობა 7-20 დღეა. მატლის —35-45 დღეა, ჭუპრის—14—20, ეს ვადები მერყეობს კლიმატური პირობების შესაბამისად.

ამერიკული თეთრი პეპელა ძირითადად ეტანება განათებულ მეჩხერ ნარგაობას, გზის პირებს და დასახლებულ პუნქტებს, პარკებს, ვხვდებით გამეჩხერებულ ტყის პირებსა და ცალკე მდგომ კორომებშიც.

ამერიკული თეთრი პეპელას აღმოჩენისთანავე აუცილებელია კერის ფართობის ზუსტი დადგენა და საკარანტინო ღონისძიებების მკაცრი დაცვა. მავნებლის კერის ლიკვიდაციისათვის საჭიროა მექანიკური, ბიოლოგიური და ქიმიური ბრძოლის შეთანაწყობა, სადაც წამყვანი როლი ქიმიურ ბრძოლას ენიჭება.

ამ მავნებლის კერების ლიკვიდაციის მიზნით თვით კერებში და დამცავ ზოლებში (არა ნაკლებ 300-400 მ-ის რადიუსით) უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

მავნებლის მოზამთრე ფაზის წინააღმდეგ გამხმარი ფოთლების და ტოტების შეგროვება და დაწვა, ნიადაგის ღრმად გადაბარვა. მატლების გამოჩენის შემდეგ კი ბუდეების შეგროვება და დაწვა.

ქლოროფოსის 0,3 პროცენტი სამუშაო ნაზავით ან სხვა რომელიმე ფოსფოორგანული კონტაქტური პრეპარატით (ფოზალონი, კარბოფოსი და სხვა) მცენარეების ორჯერადი დამუშავება ყოველი თაობის წინააღმდეგ, მატლების გამოჩეკის დაწყებიდან ყოველ 10-12 დღეში ერთხელ, მათ განადგურებამდე, ასევე უნდა დამუშავდეს ამავე პრეპარატებით ნარგაობის ქვეშ ბალახოვანი მცენარეული.

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ქიმიური პრეპარატების გამოყენება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დანაგვიანების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს ენტომბაქტერინის 1 პროცენტიანი ნაზავის შესხურება.

ნარგავების ქიმიური დამუშავების შემდეგ, მცენარეული პროდუქციის გამოყენება შეიძლება მინიმალურ შესხურებიდან 20-25 დღის შემდეგ.

მუშაობის დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული უსაფრთხოების ყველა ღონისძიება, რაც გათვალისწინებულია შხამქიმიკატების გადაზიდვის, შენახვის და გამოყენების ინსტრუქციით.

ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ ბრძოლის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს საკარანტინო - შემზღუდავი ღონისძიებების საქმეს, სახელდობრ მავნებლით დაავადებული რაიონი უნდა გამოცხადდეს კარანტინის ქვეშ და აიკრძალოს სოფლის მეურნეობის მცენარეული წარმოების პროდუქციის გატანა საკარანტინო შემოწმებისა და სერთიფიკატების გარეშე.

ამერიკული თეთრი პეპელას გამოვლინებისათვის უნდა ჩატარდეს ნარგავების გამოკვლევა წელიწადში ორჯერ—ივლისში და აგვისტოში.

გამოკვლეულ უნდა იქნეს ყველა სახის ნარგაობა—ხეხილი, თუთა, ჭარსაცავი ზოლები, დეკორატიული ნარგაობა, ტყის პირები, ბუჩქნარები და სხვა.

განსაკუთრებით გულდასმით უნდა იქნეს შემოწმებული მცენარეები იმ მეურნეობებში, რომლებიც განლაგებულია რკინიგზების, შარაგზებისა და აეროპორტების მახლობლად

ამერიკული თეთრი პეპელას გამოვლინებისთანავე გთხოვთ აცნობოთ მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურს, ჩვენი მისამართია—მერაბ კოსტავას ქ. №52; ტელ: 2-45-10.

კლ. თოდუა,
მცენარეთა დაცვის ზუგდიდის სარაიონთაშორისო სადგურის უფროსი.

პროგლემა

ნაბიჯ-ნაბიჯ, წინ, მომავლის სკოლისკენ

სარავისთვის არ არას საიდუმლო, რომ წინა სასწავლო წლებში სკოლებში ხშირად წყდებოდა მეცადინეობები. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყო რესპუბლიკაში შექმნილი არასტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კრიმინოგენური მდგომარეობა. მეორე მხრივ, განათლების სისტემა ერთ-ერთი იმათთაგანია, რომელიც კარგა ხანია საჭიროებს რეანიმაციას მას შემდეგ, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმატებით „სრულყოფდნენ" მას ავტორიტარული რეჟიმის „მამამთავრები".

მაშ, ასე მომავლის სკოლა როგორი უნდა იყოს იგი? ვეწვიოთ ზუგდიდის პროფილურ-ექსპერიმენტულ სკოლას.

მესამე წელი ილევა, რაც ჩვენს ქალაქში ფუნქციონირებს იგი. ეს სასწავლებელი მუშაობს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ცენტრის მიერ შემუშავებული ეროვნულ სასწავლო გეგმითა და პროგრამებით. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, პროფილურ-დიფერენცირებულ სკოლები გარკვეული უპირატესობით სარგებლობენ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებთან შედარებით. სკოლის დირექტორმა ბატონმა ზურაბ კუპრეიშვილმა გვითხრა, აქ თვისობრივად ახალ დონეზე იმართება სწავლება, სასწავლო პროგრამები, მასწავლებელთა და მოსწავლეთა შერჩევის, ურთიერთდამოკიდებულების, და მთელი რიგი სხვა საკითხები.

სკოლაში მოქმედებს ფიზიკა-მათემატიკის, ქიმია-ბიოლოგიის, ჰუმანიტარულ და ეკონომიკური პროფილების მეცხრე-მეთერთმეტე კლასები. სასწავლო პროცესი წარმართულია ისეთნაირად, რომ ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ხდება მომავალ მამულიშვილთა მსოფლმხედველობის, ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება, რომლის საფუძვლად დასახულია მართლმადიდებლური, ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნით სკოლაში შემოღებულია ღვთისმეტყველებისა და ხელოვნების ისტორია.

აღსანიშნავია ის, რომ სკოლას არ გააჩნია საკუთარი სასწავლო კორპუსი. დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება მისი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის არსებობა. მან თავისი ნათლობის მეორე მონაკვეთში გამოიცვალა სამი შენობა. დღეს ისინი შეკედლებული არიან დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი სადღეღამისო საბავშვო ბაგა—ბაღში.

საუბარში ჩაერთნენ სკოლის პედაგოგებიც, რომლებმაც გულისტკივილით აღნიშნეს, რომ დღევანდელი სახელმძღვანელოების დონე არსებითად ვერ პასუხობს ეროვნული პედაგოგიკის მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამების მოთხოვნებს. ძველი სახელმძღვანელოები „დახვეწილია" მატერიალისტურად, მშრალად, მითუმეტეს ისეთ პირობებში, როცა მათ სკოლას არ გააჩნია არავითარი ლაბორატორია, თვალსაჩინოებანი, ასეთ შემთხვევაში სასწავლო დისციპლინების ათვისება პრაქტიკულად შეუძლებელია. იქნებ დადგა ჟამი სწავლების ფორმისა და შინაარსის შეცვლასა, თორემ რა ხდება, ყველაფერი დარჩა ისევ ისე „ძველებურად", თითქოს და არაფერი განსაკუთრებული მომხდარ იყოს.

ეპილოგის მაგიერ:

ჩვენდა სამწუხაროდ, სწავლის პროცესი, ცოდნის შეძენა შინაგან მოთხოვნებს კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ გარეგნული ეფექტებისა და აღლუმებისთვისაა გამიზნული. არა ვართ შეჩვეული სიმბოლური სახეებით აზროვნებას, შესამჩნევად გვაკლია ენის სიტყვიერი სამოსით ტკბობის უნარი. ხშირად გვავიწყდება, რომ განსწავლულობა პიროვნების ზნეობასაც გულისხმობს.

მართალია, ადვილი წარმატებები არ არსებობს. საჭიროა დიდი ძალისა და ენერგიის გაღება იმისათვის, რომ პროფილურ-ექსპერიმენტულმა სკოლამ ზუგდიდში გაშალოს ფრთები. და ამ სკოლაში დანერგილ პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს დაეთმოს მწვანე გზა. მაგრამ ეს ერთი ხელის მოსმით არამც და არამც არ გაკეთდება. ალბათ ბევრი რამ დამოკიდებულია ორი რგოლის — გამგეობისა და განათლების განყოფილების ერთობლივ შეთანხმებულ მუშაობაზე, რათა გადაწყვიტონ ეს პრობლემა.

და ბოლოს, იქნებ გამოუჩნდნენ ზუგდიდის პროფილურ-ექსპერიმენტულ სკოლას სპონსორები, შეძლებული საწარმოები, რომლებიც მატერიალურად და მორალურად დაეხმარებიან აღნიშნულ სასწავლებელს შენობა-ნაგებობების, კაბინეტ - ლაბორატორიებისა და სასკოლო ინვენტარების შეძენასა და დაკომპლექტებაში. ეს იქნებოდა მათი მხრიდან დიდი მამულიშვილური საქმე.

თამაზ როგავა.

ახალი წიგნები

„მშობლები და შვილები“

„არ არსებობს ქვეყნად ისეთი დედა, დილით, გაღვიძებისთანავე იმაზე ფიქრობდეს, ჩემს ვაუს (ანდა გოგონას) ვუყვირებ, წავიჩხუბები და მთელ დღეს ჩავუმწარებო. სწორედ რომ პირიქითაა! ყველაზე უფრო დედებს ის უნდათ, დღე მშვიდობიანი იყოს, არც ყვირილი დასჭირდეთ და არც გაწამაწია. მაგრამ, თუშცა განზრახვა ესოდენ სანაქებოა, მაინც ისევ ჩაღდება ყოვლად უსარგებლო „ომი“ მშობლებსა და შვილებს შორის.

კვლავ ვყვირით და ვიმუქრებით ისეთი აბეზარი კილოთი, თავიდანვე სულაც რომ არ მოგვწონს ხოლმე.

ყველა მშობელს სურს, რომ მისი შვილი ბედნიერად და მშვიდობიანად ცხოვრობდეს ოჯახში. არავინ ცდილობს, დააშინოს შვილი, თავგასული, უპასუხისმგებლო და ჯიუტი გაზარდოს იგი. მაგრამ ზოგჯერ ბავშვები ზრდასთან ერთად იძენენ ხასიათის ამ და სხვა უამურ ნიშნებს, თანაც არც საკუთარი თავის რწმენა აქვთ და არც თავისი თუ სხვისი პატივისცემა გააჩნიათ.

გვინდა შვილები თავაზიანი გვყავდეს, ისინი კი უზრდელობენ, გვინდა ფაქიზები იყვნენ, ისინი კი მუდამ რაღაცით არიან მოთხვრილნი, გვინდა საკუთარი თავის რწმენა ჰქონდეთ, ისინი კი გაღიზიანებულნი და მოუსვენრები არიან, გვინდა ბედნიერები იყვნენ, მაგრამ ბედნიერებისა აღარაფერი ეტყობათ“— ასეთი წინასიტყვაობით იწყებს თავის წიგნს „მშობლები და შვილები“ თანამედროვე ამერიკელი ბავშვთა ფსიქოლოგი, აღზრდის პრობლემებზე დაწერილი არაერთი ნაშრომის ავტორი პაიმ ჯ. ჯაინოტი.

წიგნში კონკრეტული, მარტივი სიტუაციების მაგალითებზე მოცემულია ბავშვებთან ურთიერთობის მოდელები, რომლებიც ხელს უწყობენ პედაგოგიური მიზნების წარმატებით განხორციელებას. წიგნი უეჭველად დააინტერესებს მშობლებს, საერთოდ კი აღზრდის პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებულ ყოველ მუშაკს.

წიგნი ქართულ ენაზე თარგმნა გიორგი ბაქანიძემ. დაბეჭდილია საგამომცემლო კოოპერატივში „ლომისი“.

ა. ღურწკაია,
პედაგოგი.

ქართული ანბანის ზეიმი სკოლაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით სწავლებისა და აღზრდის იდეები მსჭვალავდა ამასწინათ, ქალაქის №3 საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. ფიფია) ჩატარებულ ქართული ანბანის ზეიმს, რომელიც მიეძღვნა ქართული ენის გადარჩენისა და დაცვის დღეს.

საინტერესოდ წარიმართა საღამო, რომელიც მოამზადა მეოთხე (ბ) კლასის მასწავლებელმა თამარ ჩემინავამ.

წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ - მხატვრული მონტაჟი: „ოცდაცამეტი მზისსახოვანი იაკობი“, „ანბანთა სახუმრო გასაუბრება“, „ქება ქართულისა ენისაო. . გაეღერდა ქართული ლექსები. ერთმანეთს ცვლიდნენ ნორჩი დეკლამატორები.

გ. სალია, ი. ჭურღულია,
ზ. ალანია,
მშობლები.

ზუგდიდის ბირჟა

(პროგლემები და პერსპექტივები)

დღეს, სამეურნეო საქმიანობაში დომინირებს საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპები, მათი საბაზრო სტრუქტურები, ამ სტრუქტურებს მორგებული სხვა და სხვა სახისა და ტიპის სამეურნეო ერთეულები, რომელიც მძიმედ, მაგრამ უცილობლად იძენს საერთაშორისო კომერციულ ხასიათს. ამ პირობებში ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი ვალდებულია იარსებოს საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში და იმ ექსტრემალური პირობებიდან გამომდინარე, რომელსაც ცხოვრება თავაზობს თავისუფალ მეწარმეს. სიცოცხლის უნარიანია ის, ვისაც გააჩნია მძლავრი მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, დაფინანსების წყაროები, მართვის ავტომატიზირებული ქსელები, კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაგრძელების საუკეთესო საშუალებანი, ინტელექტუალური რესურსები, ნედლეულის წყაროები და გასაღების ბაზრები. რაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ, სწორედ ამ ძირითადი მოთხოვნების რეალურად შესრულებამ გვიბიძგა სამეცნიერო - საწარმოო დახურული ტიპის ფირმა „კოსმოსთან“ შეგვექმნა და ჩამოგვეყალიბებინა ზუგდიდის საფონდო, სავალუტო, სასაქონლო ბირჟა, რომლის ძირითადი მიზანიც სამეგრელოს რეგიონში არსებული შრომითი, ფულადი, სასაქონლო და სარესურსო საშუალებების ამოძრავება, მისი აკუმულირება და ბაზრის სეგმენტების სურვილისამებრ წარმართვაა.

ზუგდიდში დაფუძნებული ბირჟა საჭიროა. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს. თუმცა მისი რაოდენობაც განსაზღვრულია. მისი ფორმირების აუცილებლობა გვიკარნახა ქალაქის მატერიალურ-ტექნიკური მექანიზმის ინტენსიურად ამუშავებამ, მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებამ ნედლეულით და მასალებით, ნახევარფაბრიკატებით, მზა პროდუქციით, რესურსებით, საქონლით და ა. შ. თუმცა ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს ნებისმიერი ბირჟა —ეს მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების სამსახურია. უბრალო განმარტებით, ეს ის ადგილია, სადაც ვაჭრობა იწარმოებს რეგულარულად ღია ან დახურული ფორმით. ბირჟის კლიენტურას მათთვის სპეციალურად მომზადებული მაღალპროფესიული კადრები მოემსახურება. კერძოდ, ესენია სავაჭრო პალატის სპიკერი, მაკლერი, დილერი და ბროკერი. ბროკერი ანუ შუამავალი საქონლის მყიდველს და გამყიდველს შორის შეიძლება დაიგირავოს ნებისმიერმა ორგანიზაციამ, რომელმაც გამოთქვა სურვილი ჩვენთან თანამშრომლობაზე.

ზუგდიდის საიჯარო ბირჟა მრავალპროფილიანია და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ამ რეგიონში არსებული ყველა სახის სამეურნეო ერთეულს.

ჩვენი ბირჟა ფიზიკურად იმყოფება ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე და აღჭურვილია თანამედროვე ტიპის ორგტექნიკით. მისი საკომუნიკაციო შესაძლებლობანი განსაზღვრელია. ის ინფორმაციის გადაცემის ტექნიკური საშუალებებით ერთ-ერთი წამყვანია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოეთის ქვეყნებშიც. გააჩნია მეოთხე თაობის სრულიად ახალი ტიპის პერსონალური კომპიუტერები და ამ კომპიუტერების საშუალებით ჩართულ იქნება მართვის საერთაშორისო ავტომატიზირებულ - საინფორმაციო ქსელში. ყველა სამუშაო ადგილი ავტომატიზირებული და აღჭურვილია კომპიუტერებით. ინფორმაციის სისრულე, დროულობა, გადაცემის სისწრაფე, უზრუნველყოფილია დახურული ტიპის სამეცნიერო - საწარმოო ფირმა „კოსმოსის“ მიერ, ის კი თავისთავად ვალუტაა განუსაზღვრელი ოდენობით. კონკურენციულ ბრძოლაში იგებს ის, ვინც პირველად იგებს ინფორმაციას. ამის მიღწევა კი მხოლოდ ზუგდიდის სასურსათო საფონდო სავალუტო საჯარო ბირჟაზე მონაწილეობის მიღებით შეგიძლიათ. პირველი ვაჭრობა შედგება მაისის თვეში. მსურველებს ვიწვევთ პარტნიორობისთვის. ეს რომ უბრალოდ ფუჭ რეკლამაში არ ჩაგვეთვალოს, გაცნობებთ: ჩვენ წარმატების გარანტიას მკაცრ დისციპლინაში ვხედავთ. ბირჟაზე თანამშრომლობას, ვაჭრობას საკუთარი მკაცრი, რეგლამენტირებული წესები გააჩნია. ჩვენ კლიენტურას ვაძლევთ პირობას, რომ მუშაობას სწორედ დისციპლინითა და მაღალორგანიზებულობით დავიწყებთ. ის, ვინც გაეცნობა ჩვენი მუშაობის წესებს, რეგულარულად დაესწრება საბირჟო ღია და დახურულ ვაჭრობებს, გამოცდილებასთან ერთად შეიძენს ვაჭრობის შინაგან კულტურასა და ქცევის ახალ ნორმებს.

ბირჟა რეგიონში თვითმიზანი არ არის, ის უპირველესად რეგიონის ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. გახდე კარგი ბიზნესმენი ნიშნავს ღრმად გაერკვე საბირჟო საქმიანობაში: ყიდვა - გაყიდვაში, სხვადასხვა სახის გარიგებებში და ა. შ.

საბირჟო ურთიერთობების ჩამოყალიბება უდაოდ საშური საქმეა და ისინი, ვინც სისხლხორცეულად დაინტერესდება ამით, გაიკეთებს დიდ ეროვნულ საქმესაც, ბიზნესმენობა სრულებით არ ნიშნავს სპეკულანტობას. ბიზნესმენი —ეს ყოველმხრივ განვითარებული და მოაზროვნე მეწარმეცაა, საქონლის მყიდველიც და გამყიდველიც. საქონელგაცვლის პროცესში ხდება მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბება ახალ სამეურნეო ფსიქოლოგიასა და ბიზნესის ფილოსოფიაზე დაყრდნობით.

ენდეთ ჩვენს ინტუიციას, ვინც ირწმუნებს ახალი საქმის ძალას, ის ნოვატორია თავის საქმიანობაში. ეს კი ურისკო და სარგებლიანი საქმეა და ამ სფეროში წარმატების გარანტიც. მაშ კეთილი იყოს ბიზნესის სამყაროში ახალი ბირჟის შემობრძანება.

დახურული ტიპის სამეცნიერო - საწარმოო ფირმა „კოსმოსი“.

ზუგდიდის ბირჟის ანკეტა

უახლესი გამოთვლითი ტექნიკით, ფართო კომუნიკაციური შესაძლებლობებით აღჭურვილი, დახურული ტიპის სამეცნიერო-საწარმოო ფირმა „კოსმოსი“-ს ბაზაზე, სამეგრელოს რეგიონში, ფუნქციონირებას იწყებს ზუგდიდის სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბირჟა.

თუ თქვენ გადაწყვიტეთ გახდეთ საბირჟო ვაჭრობის მონაწილე, შეავსეთ და გამოგზავნეთ ზუგდიდის ბირჟაზე ვაჭრობაში მონაწილის სარეგისტრაციო ბარათი:

ვაჭრობაში მონაწილის	სარეგისტრაციო ბარათი	№
დაწესებულება		
მისამართი		
ტელ: ფაქსი:	ტელექსი	
საბანკო რეკვიზიტები		
ბროკერი		
მისამართი		
ტელ: ფაქსი:	ტელექსი	
საბანკო რეკვიზიტები		
დაწესებულების ხელმძღვანელი		
ხელმოწერა		ბ. ა.

მისამართი:
384700 ზუგდიდი, დავით აღმაშენ ებლის ქ. 17.
ტელეფონი: 2-30-90, 2-14—69; 2-44-44. ზუგდიდის ბირჟა
ფ. ფიფიას.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00.

რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა: მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-27, ტირაჟი 700, შეკ. №375

კოოპერატივების, მცირე საწარმოების და არასახელმწიფო სექტორის სხვა საწარ. მოების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის 1993 წლის 12 აპრილის №193 განკარგულებით დაწესებულია საქონლის რეგიონის ფარგლებს გარეთ რეალიზაციისას ტვირთების წინასწარი რეგისტრაცია საგადასახადო ინსპექციაში. რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი ცნობის გარეშე რკინიგზის სადგურები არ მოახდენენ საქონლის გადატვირთვას, ხოლო საგზაო პოლიციის მიერ ტრასაზე დაკავებული იქნებიან ასევე ცნობის გარეშე გაგზავნილი ტვირთები.

საქონლის რეგისტრაციისა და შესაბამისი ცნობის მისაღებად უნდა მიმართოთ საგადასახადო ინსპექციას, წემდეგ მისამართზე რუსთაველის ქ. №91, მეოთხე სართული, ტ. 2-10-07.

საგადასახადო ინსპექცია.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

დამოუკიდებელი კოოპერატივი „გიგა“ გთავაზობთ ცემენტს „მ—400“ —პორტლანდი. ნაღდი ანგარიშსწორებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართით: ზუგდიდის რაიონი, ჭითაწყარის კოლმეურნეობის საავტომობილო საწარმოს საქმიანი ეზო.

კოოპერატივი „გიგა“.

სარედაქციო კოლეგია

შვილები: გივი, ქეთო, ნანული, კაკაჩიები, გურამი შენგელაია, ლალა კვარაცხელია, მელანია გულუა, დები: ლენა, ნუცა, ჯადუ, ქსენია ფარცვანიები, შვილიშვილები: გია, ირინა, თამრიკო კაკაჩიები, მარეხი, მაია, ნინო კაკულიები, ბადრი, აკაკი მაქაცარიები, ლადო, გია, ირაკლი შენგელაიები, რძლები: ჯუსა მატუშევსკაია, დოდო ბერულავა, ნინა მიხაილიდი, სიძეები გენო მაქაცარია, ვალოდია კირვალიძე, მიშა წითლიძე, ილა ბეჭვაია, დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, მულიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ანეტა ტარასის ასული ფარცვანია-კაკაჩია.

პანაშვიდი 29, 30 აპრილს, დაკრძალვა კვირას, 2 მაისს 4 საათზე, გამოსვენება ზუგდიდი, ლაზის ქ. (ყოფილი კომკავშირის) 43-დან

მეუღლე ტონია, შვილები: დინარა, ზურაბი შონიები, რძლები: დალი ქობალია, გული მამფორია, სიძეები: ზაურ ნანავა, კუკუშა ბუკია, შვილიშვილები: სალომე, დათო, ზურაბი შონიები, მაია ნანავა, დისშვილი მაყვალა ოდილავაძე, ცოლისდა მოკონა ბუკია, ცოლისძმა ედემი მიქავა, ძმისშვილები: ავრორა, ანზორი შონიები, მზახლები პოლინა, თორნიკე ქობალიები, ტატიანა, ვალოდია ნანავები ოჯახებით იუწყებიან

ბიქტორ ივანეს ძე შონიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 აპრილს. დაკრძალვა 1 მაისს. გამოსვენება ზუგდიდი, კონსტანტინე გამსახურდიას (ყოფილი ლენინის) ქუჩა 195-დან.